საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2852
22/06/2022

2852-21-2-202206221822

შპს „თი ეს გრუპს“
მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,
ატენის ქუჩა, კორპ. 3, ბ. 22.
ელ.ფოსტა: office@tsgroup.az

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 15 ივნისის N 15471 განცხადება, რომელიც ეხება შპს „თი ეს გრუპის“ მიერ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკოპინგის ანგარიშს და გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ერთ-ერთი ძირითადი საპროექტო მახასიათებლის, კერძოდ სილოსების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. სკოპინგის ანგარიშის ერთ-ერთი ქვეთავის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ საწარმოში გამოყენებული იქნება 7 ცალი სილოსი, ხოლო შემდგომი ქვეთავის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ გათვალისწინებულია ჯამში 6 ცალი სილოსის განთავსება;
- სკოპინგის ანგარიშში განხილულია მხოლოდ M - 300 და M - 400 მარკის ცემენტის წარმოების ტექნოლოგიური ციკლი, ხოლო ინფორმაცია „M- 500“ მარკის ტიპის ცემენტის წარმოების შესახებ საჭიროებს დაზუსტებას;
- დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ექსპლუატაციისთვის გათვალისწინებული საკაზმე მასალის შემოტანა/განთავსებისა და შენახვის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივების შესახებ არ არის რელევანტური დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებთან მიმართებით. კერძოდ, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა განხილული უნდა იქნეს არა საწარმოო საქმიანობასთან არამედ დაგეგმილ ცვლილებასთან მიმართებაში. ამასთან მნიშვნელოვანია ასახული იყოს ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში (გვ. 14 და გვ. 15-ზე) მოცემული ინფორმაცია წარმოდგენილია არასახელმწიფო ენაზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული

წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოპინგის ანგარიშში მოცემული ნებისმიერი სახის ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს სახელმწიფო (ქართული) ენაზე.

სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების/მოთხოვნების გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ. ამასთან, გთხოვთ, უზრუნველყოთ წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაციის ცხრილის სახით წარმოდგენა, შესაბამისი გვერდების მითითებით.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო